StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია

„ქვეყანაში ახალი კორონავირუსის COVID 19 შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობაში შევქმენით უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

მინდა, ჩამოგითვალოთ ის გადაწყვეტილებები, რომელიც უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო:

1. შევაჩერეთ სასწავლო პროცესი;
2. შევაჩერეთ ჯარში გაწვევა;
3. საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი გადავიყვანეთ დისტანციური მუშაობის და ელექტრონული სერვისების მიწოდების რეჟიმზე;
4. იგივე რეკომენდაცია გაიცა კერძო სექტორის მიმართ;
5. ეტაპობრივად შევზღუდეთ როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო მიმოსვლა, ავკრძალეთ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში შემოსვლა;
6. დავაწესეთ საკარანტინო პროცედურები, გავამკაცრეთ თვითიზოლაციის დაცვის კონტროლი;
7. დავხურეთ სამთო-სათხილამურო კურორტები;
8. აიკრძალა სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა;
9. შეწყდა სხვადასხვა სახის მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება - როგორც კულტურული, ისე სპორტული;
10. გავეცით სავაჭრო ობიექტების დახურვის რეკომენდაციები, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ფარგლებში განსაზღვრული ობიექტების და სურსათისა და სააფთიაქო და საბანკო მომსახურებისა.

ეს ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ შეგვეჩერებინა ვირუსის გავრცელების პირველი ეტაპი, რომელიც გახლდათ, ძირითადად, იმპორტირებული - უცხო ქვეყნიდან ვირუსის გავრცელების ეტაპი.

იმ რაოდენობის ინფიცირებულები, რომლებიც ჩვენ გვყავს და, განსაკუთრებით, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო რაოდენობის ზრდა საკარანტინე ზონაში, არის უკვე აშკარა ფაქტი იმისა, რომ ჩვენ გადავდივართ ვირუსის გავრცელების შემდგომ - შიდა გავრცელების ეტაპზე, რომელიც მოითხოვს დამატებით და განსაკუთრებულ ზომებს, როგორც მთავრობის, ისე ბიზნესისა და საზოგადოების მხრიდან,"

ამ ეტაპზე ჩვენი ძირითადი ამოცანაა ვირუსის მასობრივი გავრცელების შეფერხება და შეჩერება, ასევე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვირუსის გავრცელების სისწრაფის შეფერხება. ეს ჩვენს ჯანდაცვის სისტემას აძლევს საშუალებას, უფრო მომზადებული დახვდეს და უფრო ხარისხიანად უმკურნალოს ჩვენს თითოეულ მოქალაქეს. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღონისძიება, რომელიც უკვე მიღებულია და გაგრძელდება, საქართველოს მთავრობამ და მე მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, 1 თვით, 2020 წლის 21 აპრილამდე.

პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, პარლამენტმა დაამტკიცა.

პარლამენტმა ასევე დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ გამოცემული და პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერილი დეკრეტი, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მთელი რიგი უფლებები, მათ შორის: გადაადგილებისა და მიმოსვლის, საკუთრების, შეკრებისა და თავშეყრის უფლებები, საჯარო სერვისების მიწოდების შესაძლებლობა. ამ დეკრეტით გათვალისწინებულია საგანგებო რეჟიმის დარღვევის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სანქციები.

#დარჩისახლში

საგანგებო მდგომარეობით განსაზღვრული მოქმედებების ნუსხა

საგანგებო მდგომარეობა მთავრობას აძლევს შემდეგ შესაძლებლობებს:

- იზოლაციის ან კარანტინის წესების დარღვევისთვის, პირი იძულებით იქნება გადაყვანილი შესაბამის დაწესებულებაში;
- იზოლაციისა და კარანტინის წესების დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი სანქციები;
- საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლაზე წესდება შეზღუდვები გარდა სატვირთო გადაზიდვებისა;
- დგინდება საჯარო სერვისების მიწოდების განსხვავებული წესები და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განსხვავებული წესები და ვადები;
- საქართველოს მთავრობას მიეცემა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისთვის, მის მიერ დადგენილი წესით შეზღუდოს საკუთრების უფლება და გამოიყენოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები;
- იზღუდება 10-ზე მეტი ადამიანის თავშეყრა;
- მთავრობას ექნება უფლება, კერძო ორგანიზაციებს, ბიზნესსუბიექტებს შეუზღუდოს ან დაავალოს კონკრეტული საქმიანობის განხორციელება.
- აუცილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებასა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების რეგულირებას;
- მთავრობა დაადგენს განათლების შესახებ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისგან განსხვავებულ წესებს და პირობებს;
- საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა შეძლებს, მოახდინოს შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების საყოველთაო მობილიზაცია;
- სასამართლო სხდომები შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად;
- ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. წინააღმდეგ შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს: ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ჯარიმას ფიზიკური პირებისთვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 15 000 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება განმეორებით გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით. სამართალდამცავმა ორგანოებმა საგანგებო მდგომარეობის დროს დადგენილი რეჟიმის დაცვის მიზნით უნდა გამოიყენონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავრობის ძირითადი ამოცანაა, პირველ რიგში, იზრუნოს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და ქვეყნის ეკონომიკაზე, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ზიანი, რომელიც გლობალური გამოწვევისგან ადგება საქართველოს ეკონომიკას

„მთავრობას ძალიან კარგად ესმის საქართველოს თითოეული მოქალაქის გასაჭირი, რომელმაც დაკარგა, ან პოტენციურად შეიძლება დაკარგოს სამსახური, შესაბამისად - შემოსავალი.

ამიტომ, გარდა იმ გეგმისა, რომელიც მთავრობას უკვე მზად აქვს, ეკონომიკის კონკრეტული სექტორების დასახმარებლად, უახლოეს დღეებში იქნება წარმოდგენილი გეგმა, ჩვენი მოქალაქეების კონკრეტული მიზნობრივი დახმარების თვალსაზრისით, რომელსაც ექნება კონკრეტული, აბსოლუტურად ხელშესახები მიზანი, რათა ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, სახელმწიფო მაქსიმალურად დაუდგეს გვერდით.

უწყებათაშორისმა საბჭომ გამოყო 4 ძირითადი მიმართულება, რომლის სისტემურ მართვაზეც არის დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მოქმედების ეფექტურობა, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

პირველი - ჯანდაცვის მიმართულება, რომელზეც პასუხისმგებელია ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე;

მეორე - სამოქალაქო წესრიგი და უსაფრთხოება, რომელზეც პასუხისმგებელი გახლავთ ვახტანგ გომელაური;

მესამე - სურსათი, სასურსათო უზრუნველყოფა, ლოგისტიკა და ტრანსპორტირება, რომელზეც პასუხისმგებელია ლევან დავითაშვილი;

მეოთხე - მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ეკონომიკაზე ზიანის მინიმიზება და შემდგომ უკვე ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, ამ მიმართულებაზე პასუხისმგებელი გახლავთ მაია ცქიტიშვილი.

მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ პოლიციელს, თითოეულ მედიკოსს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში იბრძვიან ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის, მადლობა მინდა გადავუხადო იმ კომპანიების, სასურსათო მაღაზიების მოლარეებს კონსულტანტებს, სააფთიაქო ქსელის თანამშრომლებს, რომლებიც დღესაც მუშაობენ და ხვალაც ვირუსის პირობებში გააგრძელებენ მუშაობას ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ გადავდგათ პრევენციული ნაბიჯი, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ იმისთვის, რომ ყველამ ერთად ხელისუფლებამ, მთავრობამ, სამოქალაქო სექტორმა, ბიზნესმა და, რა თქმა უნდა, ჩვენმა მოქალაქეებმა ეს ვირუსი დავამარცხოთ. კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა ჩემი სრული რწმენა, რომ ჩვენ ამ განსაცდელიდან, ამ მძიმე გამოწვევიდან, გამარჯვებულები გამოვალთ", - განაცხადა გიორგი გახარიამ.

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს დაევალა

ლევან დავითაშვილი: „საგანგებო მდგომარეობის დროს, სურსათის სარეალიზაციო ობიექტები სტანდარტულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას"

„მინდა საგანგებოდ გავაკეთო განმარტება სავაჭრო ქსელებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით; მოსახლეობის განსაკუთრებული სიჭარბეა სურსათის სარეალიზაციო ობიექტებში. საგანგებო ვითარების გამოცხადება, როგორც პრემიერმაც განმარტა, მოსახლეობას არ უზღუდავს სურსათის შეძენის მიზნით გადაადგილებას. სურსათის შეძენას მოსახლეობა იმავე პირობებით გააგრძელებს, როგორც ამას საგანგებო მდგომარეობადე აკეთებდა. სურსათის სარეალიზაციო ობიექტები მუშაობას აგრძელებენ სტანდარტულ რეჟიმში. მათი სამუშაო საათები არ მცირდება, ობიქტები არ იკეტება.

აღნიშნულმა სავაჭრო ობიქტებმა უნდა გაითვალისწინონ სანიტარიული და ჰიგიენური რეკომენდაციები, რომელიც მთავრობამ გამოსცა და შემდეგ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დააზუსტა. ასევე არსებობს შიდა სტანდარტებიც, რომელთა აღსრულება სავალდებულოა.

სურსათის მიწოდების კუთხით, არათუ წყვეტა, არამედ შეფერხებაც არ იქნება; მთავარია სავაჭრო ქსელებში ხელოვნურად არ შევქმნათ პრობლემები.

მოსახლეობამ და სავაჭრო ქსელების ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ადამიანებს შორის დისტანცია იყოს 1,5 მეტრი, არ შევქმნათ რიგები.

პროდუქციაზე სრულიად უსაფუძვლო პანიკური მოთხოვნის გამო ხალხმრავლობა სავაჭრო ქსელებში, არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში სრულიად გაუმართლებელია.

ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ იქნება. დღეს ყველაზე მთავარია დავიცვათ წესები და მაქსიმალურად შევამციროთ ვირუსის გავრცელება", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

ლევან დავითაშვილი: „მხოლოდ სოლიდარობით შეგვიძლია ეს გამოწვევა დავამარცხოთ"

„გავუფრთხილდეთ საკუთარ და სხვების ჯანმრთელობას. ის თავშეყრა, რომელიც სუპერმარკეტებშია, ვირუსის გავრცელების რისკებს ზრდის.

სოციალური დისტანცირება და იზოლაცია ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია.

რაც არ უნდა მკაცრი პირობებით განისაზღვროს საგანგებო მდგომარეობა, სურსათის მიწოდება ქვეყანაში არ შეიზღუდება, ეს მინდა განსაკუთრებულად ხაზგასმით აღვნიშნო.

დღეს მარაგებზე ფიქრი და მარაგების კეთება სრულად უსაფუძვლოა. სურსათის მიმწოდებელი ობიექტები, სუპერმარკეტები, მაღაზიები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას, მათთვის საათობრივი შეზღუდვები არ წესდება", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

პანიკური ქცევა ქმნის უხერხულობას და ისევ თითოეულ ჩვენგანს აზარალებს

„სავაჭრო ობიქტებში მოსახლეობის მხრიდან პროდუქტებზე პანიკური მოთხოვნა მოწოდებებში ქმნის გარკვეულ შეფერხებებს, რამაც შესაძლოა გარკვეულ რგოლში ხელოვნური, სპეკულაციური ფასების ზრდის სურვილიც გააჩინოს. საგანგებო ჯგუფი მუშაობს ფასების სპეკულაციური ზრდის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ყველა მიმართულებით კონტროლი, ისევ და ისევ პანიკური მოთხოვნის გამო, რთულდება. საგანგებო მექანიზმით, ჩვენ იმპორტიორებს დავუზღვიეთ ფასების გაზრდის ობიექტური მიზეზები, მათ შორის ვალუტის კურსის სხვაობა; შესაბამისად, ფასების გაზრდის ობიექტური მიზეზი არ არსებობს. ჩვენ 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე (ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფქვილი, შაქარი, ხორბალი, რძის ფხვნილი, წიწიბურა და ლობიო) ფასებს შევინარჩუნებთ", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

მოსახლეობა სურსათს შეუფერხებლად მიიღებს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ქსელური მარკეტების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული რეგულაციების პირობებში, მოსახლეობისთვის სურსათის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის საკითხები განიხილა.

„დღეს არსებულ ვითარებაში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინირებული საქმიანობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ნომერ პირველი ამოცანაა ქვეყანაში მომარაგების კუთხით შეფერხება არ მოხდეს და განსაზღვრულ ძირითადი მოხმარების 9 სასურსათო პროდუქტზე ფასები არ გაიზარდოს", - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა ქსელური სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს გააცნო ის მექანიზმი, რომელითაც სახელმწიფო ძირითადი მოხმარების 9 სასურსათო პროდუქტზე (ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფქვილი, შაქარი, ხორბალი, რძის ფხვნილი, წიწიბურა და ლობიო) ფასებს დააზღვევს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სამინისტროში შემუშავდა „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა". პროგრამას განახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო", შემოსავლების სამსახურთან ერთად. ყველა იმ იმპორტიორი კომპანიისთვის, რომელიც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით მოახდენს 9 ძირითადი პროდუქტის შესყიდვას, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, გარკვეული პირობებით, სავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირებას მოახდენს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი ლევან კაკავა და საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონია ესწრებოდნენ.

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს დაევალა

მთავრობა 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე ფასს აზღვევს

პრემიერ-მინისტრის დავალებით, საგანგებო მექანიზმით, ფასებს გავაკონტროლებთ 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე, ეს პროდუქტებია: ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფქვილი, შაქარი, ხორბალი, რძის ფხვნილი, წიწიბურა და ლობიო.

ჩვენ სავალუტო რისკებისგან დაზღვევის მექანიზმი შევთავაზეთ ძირითად იმპორტიორებს, მსხვილ დისტრიბუტორებს. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ფიქსირებულ საკურსო რეჟიმში გადავაზღვევთ განსხვავებას კონკრეტული ფასიდან და კონკრეტული გაცვლითი კურსიდან. მსხვილი მომწოდებლები კომპენსაციას მიიღებენ იმისათვის, რომ მათ ფასი შეინარჩუნონ და არ გაზარდონ 9 მნიშვნელოვან პროდუქტზე, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სასურსათო მომარაგება. ბიზნესთან შეთანხმება შედგა, შესაბამისად, ჩვენ ავამოქმედებთ მექანიზმს.

მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში გაკონტროლდება ფასი, გვექნება მკაცრი მონიტორინგი იმისათვის, რომ კონკრეტულმა ოპერატორმა არ მოახდინოს ფასის სპეკულაციური ზრდა.

დაბოლოს, სურსათის დეფიციტის და ფასის ზრდის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის რეკომენდაციები თითოეულმა მოქალაქემ გაითვალისწინოს“,-განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

„ახალი კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, ჩვენ უწყვეტ რეჟიმში ვმუშაობთ ყველა იმ რგოლთან, რომელიც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაშია ჩართული”, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მსხვილი სავაჭრო ქსელების ხელმძღვანელებთან მორიგ სამუშაო შეხვედრაზე.

„ჩვენი ამოცანაა, ერთი მხრივ, ავიცილოთ ფასების უსაფუძვლო მატება და, მეორე მხრივ, არ გვქონდეს წყვეტა სურსათის მიწოდებაში. მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში, რათა სიტუაცია იყოს მართული და მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად დავიცვათ. განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისგან, საქართველოს სავაჭრო ქსელების მომარაგების სისტემა სხვაგვარია. არანაირი წინაპირობა იმისა, რომ მომარაგებაში იყოს წყვეტა ან შეფერხება, არ გვაქვს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ჩვენთან შექმნილი სპეციალური შტაბი მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

დღევანდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საშიშროების გამო დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, სურსათის დეფიციტის საფრთხე არ არსებობს.

მსხვილი სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებთან შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნესომბუდსმენი მიხეილ დაუშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი ლევან კაკავა, თბილისის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი ლევან ჯღარკავა, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი და სამინისტროს შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები.

ლევან დავითაშვილი: „ქვეყანაში გვაქვს ადგილობრივი საკონსერვო პროდუქციის მარაგებიც. გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, დეფიციტი არ შეიქმნება”

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი საკონსერვო პროდუქციის მწარმოებელ სამი მსხვილი კომპანიის „კულა“, „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და „კასპის საკონსერვო ქარხანა“ ხელმძღვანელებს შეხვდა.

„სამომხმარებლო ბაზარზე საკონსერვო პროდუქციის ძირითადი ნაწილი ქართული წარმოებისაა. კომპანიის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მარაგების საკითხი განვიხილეთ. ამ მიმართულებით შეფერხება არ გვაქვს. კომპანიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ერთი წლის მარაგები აქვთ და გაზრდილი მოთხოვნის შემთხვევაშიც დეფიციტი არ შეიქმნება”, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, როდესაც საუბარია სურსათის უზრუნველყოფის საკითხებზე, განსაკუთრებულ მექანიზმებზე და ფასების სტაბილიზაციაზე, საქმე ეხება ბურღულეული პროდუქციის, ხორბლის ფქვილისა და ზეთის მხარდაჭერას, სხვა შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო შესყიდვებს, ისე საცალო ქსელს ადგილობრივი წარმოება მთლიანად ამარაგებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, სურსათის მარაგებთან დაკავშირებული ვითარების გასაცნობად, ჰიპერმარკეტში „აგროჰაბი“ იმყოფებოდა.

მინისტრმა ინფორმაცია ქსელის ხელმძღვანელისგან, აკაკი ახვლედიანისგან მიიღო. აკაკი ახვლედიანის განცხადებით, გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, პირველადი მოხმარების სურსათის მარაგების პრობლემა ქსელში არ აქვთ.

„მინდა მოსახლეობას ვუთხრა - მარაგები გვაქვს, როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივი პროდუქციის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მიმართულების ფერმები. სურსათის დეფიციტის საშიშროება მოსახლეობას ნამდვილად არ ემუქრება“, - განაცხადა „აგროჰაბის“ დამფუძნებელმა აკაკი ახვლედიანმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი მსხვილი სასურსათო ქსელების, იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიების წარმომადგენლებსაც შეხვდა, სადაც კორონავირუსის გავრცელების საშიშროების გამო სურსათის მარაგებისა და ფასების რეგულაციის საკითხები განიხილა.

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს დაევალა

ლევან დავითაშვილი: „პურზე ფასი არ გაიზრდება; ხორბლის, ფქვილის და პურის მიწოდებაში შეფერხება არ იქნება“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ხორბლისა და ფქვილის იმპორტიორებთან, პურის მწარმოებლებთან და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ფქვილსა და პურზე ფასის შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ არსებულ ვითარებაში, მოსახლეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძირითადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასები არ გაიზარდოს.

„ხორბლის მარაგები მუდმივად კონტროლდება. საგანგებო პირობებში, აღნიშნულ მიმართულებაზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება. ხაზგასმით ვამბობ, რომ პურზე ფასები არ გაიზრდება, მიწოდებაში არ იქნება შეფერხება და შეზღუდვა“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს ძირითადი მოხმარების 9 სასურსათო პროდუქტზე (ბრინჯი, მაკარონი, მზესუმზირის ზეთი, ფქვილი, შაქარი, ხორბალი, რძის ფხვნილი, წიწიბურა და ლობიო) ფასების დაზღვევის მიზნით სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროექტი გააცნო.

როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, სამინისტროში შემუშავებულია „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა“, რომელსაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, შემოსავლების სამსახურთან ერთად განახორციელებს. პროექტის თანახმად, იმპორტიორი კომპანიებისთვის, რომლებიც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით 9 ძირითად სასურსათო პროდუქტს შეისყიდიან, გარკვეული პირობებით, საავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირებას სახელმწიფო მოახდენს.

ხორბლის, ფქვილისა და პურის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი ჯიბლაძე და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე ესწრებოდნენ.

ლევან დავითაშვილი: „დღეს არსებულ ვითარებაში, ბიზნესსექტორისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესსექტორის მხრიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სამაცივრე მეურნეობების წარმომადგენლებს, ხორცისა და თევზის იმპორტიორებს და დისტრიბუტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა, ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების პირობებში, მოსახლეობის სურსათით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, აუცილებელია, ძირითადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების გარდა, ყველა სხვა სახის პროდუქტის საკმარისი მარაგებიც არსებობდეს და მოსახლეობას მისი შეძენა შეუფერხებლად შეეძლოს.

„ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ იმისთვის, რომ მოსახლეობას სურსათის უზრუნველყოფის კუთხით პრობლემა არ შეექმნას. მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს სასურსათო უზრუნველყოფის ჯაჭვში ჩართულ ყველა რგოლთან, რათა არ იყოს შეფერხებები, უწყვეტად ხდებოდეს პროდუქციის მიწოდება. ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან გამართულ რეგულარულ შეხვედრებზე განვიხილავთ ყველა იმ საკითხს, რომელიც მთელ მსოფლიოში შექმნილმა საგანგებო ვითარებამ შექმნა. ეს უკავშირდება როგორც საბაჟო პროცედურებს, ასევე ჰიგიენურ და ვეტერინარულ საკითხებს. დღეს არსებულ ვითარებაში, ბიზნესსექტორისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესსექტორის მხრიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სამაცივრე მეურნეობებში ხორცისა და თევზის საკმარისი მარაგები არსებობს. ამასთან, შეუფერხებლად მიმდინარეობს ტვირთების შემოტანა და მარაგების შევსება.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე ესწრებოდნენ.

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს დაევალა

„ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტი გახსნილია და პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქციით დატვირთული ავტომობილები ქვეყანაში უპრობლემოდ შემოდის", - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა, რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებას საბაჟო დეპარტამენტის უფროსთან, მამუკა ჯანგულაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

„რამდენიმე სამთავრობო უწყებამ ერთობლივად, უმოკლეს ვადაში შევძელით გზის გაწმენდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს აქტიური მუშაობის შედეგად, მოხდა ზვავების ხელოვნური ჩამოშლა და ჩატარდა გზის გაწმენდითი სამუშაოები. გაიხსნა სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა. ამ ეტაპზე, ქვეყანაში შეუფერხებლად ხდება სატვირთო ავტომობილებით სასურსათო პროდუქციის შემოტანა", - აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა.

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის, მამუკა ჯანგულაშვილის განცხადებით, ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტი 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და დღე-ღამეში 450-500 სატვირთო მანქანას შეუფერხებლად ატარებს.

„საბაჟო გამშვებ პუნქტში არც ერთი მანქანა არ არის შეჩერებული. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში პროდუქციის მიწოდებაში არ იყოს შეფერხება და არ გაჩნდეს დეფიციტი. მინდა აღვნიშნო, რომ საბაჟო პუნქტზე ხდება ყველა მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, ტარდება სკრინინგი", - განაცხადა მამუკა ჯანგურაშვილმა.

თბილისში არსებული მსხვილი იმპორტიორების საწყობებში იმყოფებოდნენ და არსებული სასურსათო მარაგების შესახებ ინფორმაციას ადგილზე გაეცნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და სოფლის მეურნეობის სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგულარულად იღებს ინფორმაციას არსებული სასურსათო მარაგებისა და ფასების შესახებ. დღეისათვის ქვეყანაში პირველადი მოხმარების სურსათის საკმარისი მარაგებია, რაც იმას ნიშნავს, რომ დეფიციტის საფრთხე არ არსებობს. მოსახლეობას პროდუქტების დიდი რაოდენობის შეძენის საბაბი არ აქვს; ასევე მნიშვნელოვანია, არ მოხდეს ფასების სპეკულაციური ზრდა. სოციალური პასუხისმგებლობა არსებულ ვითარებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია", - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქციის საწყობების ხელმძღვანელების განცხადებით, მარაგები საკმარისია და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა შეუფერხებლად ხორციელდება. ძირითადი მომწოდებელი ქვეყნებისგან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და უკრაინა) პროდუქციის მოწოდების მხრივ პრობლემები არ არსებობს.

საბითუმო საწყობი „დაფნა", შპს „ჯიბე" და „მზიური", სადაც ძირითადად საკვები ზეთის დასაწყობება ხდება, საკმარისზე მეტი პროდუქცია აქვთ და დამატებით ტვირთს რამდენიმე დღეში ელოდებიან

სავაჭრო ქსელებში მოსახლეობისთვის სურსათის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მონიტორინგი ხორციელდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე მსხვილ სავაჭრო ქსელებში სურსათის მარაგებისა და პროდუქციის მიწოდების კუთხით არსებულ მდგომარეობას გაეცნო.

„ქვეყანაში ყველა სახის სურსათის მარგი გვაქვს; გამართულად მუშაობს პროდუქციის მიწოდების სრული ჯაჭვი. შესაბამისად, ჩვენს მოქალაქეებს სურსათით უზრუნველყოფის კუთხით პრობლემა არ ექნებათ. მთავარია, მათ გაითვალისწინონ, რომ გადამეტებული მოთხოვნის შედეგად, სარეალიზაციო ობიექტებში ხელოვნურად იქმნება სურსათზე დეფიციტი. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს კომუნიკაცია სასურსათო ჯაჭვის ყველა რგოლთან, რათა სავაჭრო ქსელების სურსათით მომარაგება უწყვეტად მოხდეს და მოსახლეობამ პროდუქციის შეძენა შეუფერხებლად შეძლოს", - აღნიშნა თენგიზ კალანდაძემ.

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ეპიდემიოლოგების რეკომენდაციებს და სასურსათო ობიექტებში იცავენ იმ ჰიგიენურ ნორმებს, რაც აუცილებელია თანამშრომლებისა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვისთვის.

სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყველა ზემოაღნიშნული მიმართულების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის აქტიურად მუშაობს.

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს დაევალა

SEPS

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იმ ობიექტების ჩამონათვალი განსაზღვრა, რომლებიც ფუნქციონირებას განაგრძობენ

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განსაზღვრა იმ ბიზნესოპერატორების ჩამონათვალი, რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას:

- სურსათის/ცხოველთა საკვების საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტები(მაღაზიები, საბითუმო/საბაჟო საწყობები, აგრარული ბაზრები);
- სურსათის სამაცივრე მეურნეობები;
- სურსათის მწარმოებელი/გადამამუშავებელი საწარმოები (მათ შორის, პურფუნთუშეულის საცხობები, ცხოველთა სასაკლაოები (სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე);
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები მხოლოდ მიწოდების სერვისით;
- ცხოველის საკვების გადამამუშავებელი საწარმოები;
- სურსათის/ცხოველთა საკვების დისტრიბუტორები (მათ შორის იმპორტიორები);
- ვეტერინარული კლინიკები;
- ცოცხალი ცხოველების ბაზრები/ბაზრობები;
- ცხოველთა ფერმები;
- ვეტერინარული აფთიაქები/ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტები;
- ზოომაღაზიები;
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების აღიარებული საცალო/საბითუმო ობიექტები;
- სურსათის/ცხოველთა საკვების ლაბორატორიები;
- საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიები.

აღნიშული ბრძანების აღსრულების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ ბიზნესოპერატორების ინფორმირებას და რეკომენდაციების გაცემას.

ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც აწარმოებენ/გადაამუშავებენ სურსათს, მკაცრად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

- სურსათის გაცივების, გაყინვის და თერმული დამუშავების დროს - ტემპერატურული რეჟიმები;
- პერსონალმა გამოიყენოს ერთჯერადი პირბადე,თავსაბურავი და ხელთათმანი;
- პერსონალმა ხელები უნდა დაიბანოს თხევადი საპნითა და წყლით ხშირად; ერთჯერადი ხელსახოცით ხელის გამშრალების შემდეგ მოხდეს ხელების დეზინფექცია არანაკლებ 70% სპირტის შემცველი ხსნარით ან ანალოგიური ეფექტის მქონე სხვა სადეზინფექციო ხსნარით;
- ყველა იმ ზედაპირის და ინვენტარის, რომელსაც შეხება აქვს სურსათთან, რეცხვა-დეზინფექცია ჩატარდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;
- სამუშაოს დაწყების წინ გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ხველა, სუნთქვის უკმარისობა, ტემპერატურა);

ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის სურსათის ე.წ. მიწოდების სერვისს, მკაცრად დაიცვან შემდეგი პირობები:

- პერსონალი, რომელიც მონაწილეობს სურსათის მიწოდებაში, აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი პირბადითა და ხელთათმანით;
- სურსათი მოთავსებული უნდა იყოს ერთჯერად ტარაში, ხოლო მრავალჯერადად გამოსაყენებელი კონტეინერების რეცხვა-დეზინფიცირება უნდა ჩატარდეს ყოველი გამოყენების შემდეგ, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;
- სურსათის ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს სურსათის ტემპერატურული რეჟიმი.

ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც ახორციელებენ საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას, მკაცრად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

- პერსონალი, რომელიც მონაწილეობს პროდუქციის მიწოდებაში, აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი პირბადითა და ხელთათმანით;
- რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირითა და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;
- უზრუნველყონ მომხმარებლების მიერ დისტანციის (არანაკლებ 1 მეტრი) დაცვის გაკონტროლება.

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: **1505**

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: **116 001**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, გთხოვთ გაეცნოთ რეკომენდაციებს

რეკომენდაციები პირადი ჰიგიენის დასაცავად

1

ახალი კორონავირუსი (COVID-19)

პირადი ჰიგიენის პრაქტიკული წესები

ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით, ან დაიმუშავეთ სპირტის შემცველი ხსნარით

მოერიდეთ ცხვირზე, თვალსა და პირზე ხელის ხშირად შეხებას

ხელის დაბანა: 8 ნაბიჯი

ნუ გამოიყენებთ ნიღაბს, თუ ჯანმრთელი ხართ

გამოიყენეთ ნიღაბი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- გაქვთ რესპირაციული სიმპტომები (ცხელება, ხველა ან გამონადენი ცხვირიდან)
- გამოჯანმრთელების პერიოდი გაქვთ

თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, მოერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს

2

დაიბანეთ ხელები

ხილული ჭუჭყის შემთხვევაში, დაიბანეთ ხელები საპნითა და ონკანის წყლით

თუკი ხელები ხილულად ჭუჭყიანი არ გაქვთ, ხშირად დაიმუშავეთ ხელები ალკოჰოლიანი გელით ან საპნითა და წყლით

World Health Organization

3

დაიცავით საკუთარი თავი და სხვები დაავადებისგან

დაიბანეთ ხელები

- დახველებისა და დაცემინების შემდეგ
- ავადმყოფთა მოვლის დროს
- საჭმლის გაკეთების წინ, პროცესში და შემდეგ
- საკვების მიღების წინ
- საპირფარეშოთი სარგებლობამდე და სარგებლობის შემდეგ
- როცა ხელები ხილულად ჭუჭყიანი გაქვთ
- ცხოველებთან და მათ განავალთან შეხების შემდეგ

World Health Organization

4

დაიცავით სურსათის უვნებლობის ზომები

დაიბანეთ ხელები უმ ხორცსა თუ მზა საჭმელთან შეხების წინ

5

დაიცავით სხვები დაავადებისგან

ხველისა და ცემინების დროს სახეზე აიფარეთ მოხრილი იდაყვი ან ერთჯერადი ხელსახოცი

გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ მოათავსეთ ხელსახოცი თავსახურიან სანაგვე ყუთში

ხველისა და ცემინების შემდეგ და ავადმყოფთა მოვლის დროს დაიმუშავეთ ხელები ალკოჰოლის შემცველი გელით ან საპნითა და წყლით

World Health Organization

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: **1505**

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: **116 001**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, გთხოვთ გაეცნოთ რეკომენდაციებს

თვითიზოლაციის წესები

ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვით იზოლაციაში მყოფი პირებისთვის

რა უნდა გააკეთონ თვით იზოლაციაში მყოფმა პირებმა საკუთარი და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობის დასაცავად?

თუ საჭიროდ ჩაითვალა თქვენი თვით იზოლაციაში განთავსება, უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- იზოლაციაში უნდა იყოთ დაავადების გამომწვევთან ექსპოზიციის ბოლო თარიღიდან 14 დღის განმავლობაში (ვადის განსაზღვრაში დაგეხმარებათ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი უწყების წარმომადგენელი) და აკონტროლოთ საკუთარი ჯანმრთელობა;
- თვითიზოლაციის სივრცეში არა არის რეკომენდებული ვიზიტორებისა და სტუმრების მიღება;
- დასაშვებია არაპირდაპირი კონტაქტით საკვების გადაცემა.
- თუ თქვენთან ერთად ერთიან საცხოვრებელ სივრცეში იმყოფება სხვა პირი/პირები, მათთან კონტაქტი უნდა იყოს მინიმალური. არ დაიშვება 1 მეტრზე ახლო კონტაქტი 15 წუთზე მეტ ხანს.
- იზოლაციის პერიოდში უნდა გქონდეთ განცალკევებული ჭურჭელი (ჭიქა, თეფში, კოვზი და ა.შ.), პირსახოცი, საწოლი;
- დასაშვებია იქონიოთ სატელეფონო კავშირი და ისარგებლოთ ინტერნეტით;
- ამ დროის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი უწყებები განახორციელებენ თქვენს მონიტორინგს. ჯანმრთელობის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს თქვენთან უშუალო კონტაქტის გარეშე - ტემპერატურის თვითგაზომვით, სიმპტომების გამოვლენისას - თვითანგარიშგებით;
- თუ აღგენიშნებათ ცხელების და ან რესპირატორული ვირუსული ინფექციის მსგავსი კლინიკური ნიშნები დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ინფექციური პროფილის (რეფერალურ) სტაციონარს;
- თუ დაგჭირდათ არაგადამდები დაავადების (მაგ; ქირურგიული, გინეკოლოგიური და სხვა) სასწრაფო სტაციონარული სამედიცინო დახმარება, თქვენი კლინიკაში ტრანსპორტირება განხორციელდება სპეციალური ავტოტრანსპორტით, სტაციონარში მოთავსდებით ბოქსირებულ პალატაში საიზოლაციო პერიოდის ვადის გასვლამდე;
- ზოგადად, კრიზისის დროს სევდა, სტრესი, დაბნეულობა, შიში ან ბრაზი ნორმალურია. ასეთ დროს დაგეხმარებათ საუბარი ისეთ ადამიანებთან, ვისაც ენდობით. დაუკავშირდით თქვენს ოჯახს, მეგობრებს.
- ემოციებთან გასამკლავებლად არ გამოიყენოთ თამბაქო, ალკოჰოლი ან სხვა ნივთიერებები.
- **დაიცავით ცხოვრების ჯანსაღი წესი** - იკვებეთ ჯანსაღად, დაისვენეთ, იყავით ფიზიკურად აქტიური და იქონიეთ სოციალური კონტაქტი თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ტელეფონითა ან ელექტრონული ფოსტით.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ:

1505 (24/7 განმავლობაში) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან ეწვიოთ ვებ-გვერდს: moh.gov.ge; https://www.facebook.com/mohgovge/

116001 (ორშაბათი-პარასკევი, 10:00-**18:00**) - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ან ეწვიოთ ვებ-გვერდს: ncdc.ge; https://www.facebook.com/ncdcgeorgia/

თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია!

◆

დაიცავით თქვენი და
გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობა!

◆

გისურვებთ ჯანმრთელობას!

განსაკუთრებული მითითებები რისკ-ჯგუფებისთვის

განსაკუთრებით დაიცავით
თავი კორონავირუსისგან

თუკი ხართ 60 წელს გადაცილებული და გაქვთ შემდეგი კლინიკური დაავადებები:

- **გულსისხლძარღვთა დაავადება**
- **რესპირატორული დაავადება**
- **დიაბეტი**

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, სადაც შეიძლება მოგიწიოთ ურთიერთობა დაავადებულებთან

UNITED NATIONS

World Health Organization

რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისთვის

ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის

1. **ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების და/ან შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქების დროს ჟურნალისტებმა/მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითავლისწინონ და დაიცვან მარტივი რეკომენდაციები:**

- ა) შესაძლო ინფიცირებულ ადამიანთან ახლო კონტაქტისგან თავის არიდება **სამედიცინო ნიღბის გამოყენების გარეშე.**
- ბ) შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქებისას **ინტერვიუს წარმოება მიკროფონის დამჭერი გრძელი ჯოხით.**
- გ) ინტერვიუს დროს მიკროფონის გამოყენება ღრუბლის გარეშე. **დასრულებისთანავე მიკროფონის მთლიან კორპუსს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია.**
- **დ) უსაფრთხო დისტანციის შენარჩუნება** - არანაკლებ 1-1.5 მეტრი მანძილი ჟურნალისტსა და რესპონდენტებს შორის, განსაკუთრებით იმ პირებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ. რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი COVID-19 ინფექციით, ხველისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, ახლო მანძილზე, შესაძლებელია მოხდეს ვირუსის ჩასუნთქვა.
- ე) სამუშაო პროცესის დასრულებისთანავე **რეკომენდებულია ნიღაბის მოხსნა, წინა ზედაპირის შეხების გარეშე და გადაგდება სანაგვე ყუთში.**
- **ვ) სველი წესით გაწმენდა და დეზინფექციის ჩატარება იმ ნივთებისთვის, რომელთაც მუშაობის პროცესში ხშირად ეხებიან** (ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რამდენ ხანს ინარჩუნებს ვისური სიცოცხლისუნარიანობას სხვადასხვა ზედაპირზე, თუმცა, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით - რამდენიმე საათს).
- ზ) ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა დაცული იყოს გრიპისა და სხვა **რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგად რეკომენდაციები:**
  - **ხელის ხშირი დაბანა,** არანაკლებ 20 წამის განმავლობაში საპნითა და წყლით, ან ხელის დაიმუშავება სპირტის შემცველი ხსნარით.
  - **დაუშვებელია თვალების, ცხვირსა და პირის ღრუს დაუბანელი ხელით შეხება.**